

წამყვანი ქვეყნების ეკონომიკებში და ფინანსებში ვერ მოხდება. ამიტომ საქართველოს საბანკო სისტემა, საქართველოს ბიზნესი აუცილებლად დადგება დაუფინანსებლობის საშიშროების წინაშე. დღეს ბანკები ვერ აფინანსებენ ეკონომიკას. ეკონომიკას ფინანსების, საბრუნავი სახსრების გარეშე ფუნქციონირება არ შეუძლია. არ გაგვანია ექსპორტის არანაირი სტაბილური წყარო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვალუტის შემოდინება ქვეყანაში. სხვა ქვეყნებმა რაც მოგვცეს, იმაზე მეტს ალარ მოგვცემენ. ჩვენ მთლიანად დამოკიდებული ვართ იმპორტზე. ამ მიმე სიტუაციაში რაღაც იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირება მაინც უნდა შეძლოს მთავრობამ; მაგრამ ამ მიმართულებით სტიმულირება არ ხდება და არაფერი კეთდება საიმისოდ, რომ იმპორტი რაღაცით ჩავანაცვლოთ იმ მთავარ ნაწილში, რომლის რესურსიც გვაქვს. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, კვების პროდუქტები და პირველადი მოთხოვნის ისეთი საქონელი, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია სწრაფად მოვუაროთ და დავიწყოთ მათი გამოშვება. მაგრამ ამის სტიმულირებას მთავრობა არ ახდენს.

**- ბატონო დემურ, თქვენ რომ პრემიერ-მინისტრი იყოთ, პირველ რიგში რას გააკეთებდით?**

- ფაქტობრივად, უკვე ვითხარით... პირველ რიგში გადასახადებს კიდევ დავწევდი, განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადს 15%-მდე მაინც, თუნდაც ერთი-ორი წლით; ფირმებისთვის მოგების გადასახადს 0%-ის გაეხდინა, რომ ბუღალტრულად ყველაფერი იწარმოებოდა, მაგრამ ადამიანს არ ჰქონდეს იმის სტიმული, რომ რაღაცა არ უჩვენოს და დამალოს; თუკი დავალიანება იქნებოდა ბიუჯეტის მიმართ, გადავადებას გაგაკეთებდი; ბანკებს აუცილებლად ხელს შევუწყობდი ძალიან ხისტი პირობით, რომ მათ, დანმარების შემთხვევაში, სერიოზული დაკრედიტება დაეწყოთ ბიზნესისა და განსაკუთრებით იმ საწარმოებისა, რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე სწრაფად ჩაანაცვლონ იმპორტი ძალიან დიდ ნაწილში; აუცილებლად შევიტანდი ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებებს კანონმდებლობაში, სადაც ადმინისტრირების მასშტაბები იქნებოდა ჩარჩოში ჩაყენებული და საკუთრების უფლებების დაცვა იქნებოდა არა ფორმალურად, არამედ რეალურად. თუკი ბიზნესმენები დაინახავენ, რომ ეს გრძელვადიანი პერსპექტივით კეთდება და ამასთან ხელისუფლება თამაშის ამ წესებს შესთავაზებს განურჩევლად ყველას, მაშინ მათ რწმენა დაუბრუნდებათ, რწმენის მომენტი კი ეკონომიკური საქმიანობის დროს უდიდესი მასტიმულირებელი ფაქტორია.

ესაუბრა დალი ჩიკვაძე

**საქართველოს საბანკო სისტემა**

საქართველოს საბანკო სისტემა - ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

**მსესხებელთა ვადაგადაცხადებული  
გალების დაფარვის პრობლემა ბანკებში**

**რატომ დაუგროვდათ ბანკებს უიმედო ვალები**

**მსესხებელთა აბსოლუტური  
უმრავლესობა სასესხო ხელშეკრულებას  
დეტალურად არ იცნობს**

ბოლო ხანებში უამრავი ჩვენი მოქალაქე კომერციული ბანკიდან აღებულ კრედიტს დროულად ან საერთოდ ვეღარ იხდის. შესაბამისად, გამაფრთხილებელი შეტყობინებების გაგზავნის შემდეგ, ბანკი სასესხო ხელშეკრულებით მისთვის თავად კლიენტის მიერ მინიჭებული უფლების გამოყენებას იწყებს. საინტერესო ისაა, რომ მსესხებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სასესხო ხელშეკრულებაზე ხელი ისე აქვს მოწერილი, რომ ამ დოკუმენტს დეტალურად არც გასცნობია და მხოლოდ საკრედიტო ოფიცრის მოკლე ასსნა-განმარტებით დაკმაყოფილდა.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად კი

„მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სს „კრედიტიზმო საქართველოს“; რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას ამ ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლოს დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს. ამაზე ბანკს კლიენტის ნებართვა იმიტომ სჭირდება, რომ „კომერციული ბანკების

საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე“. რაკი კლიენტის ნებართვა აქვს, ბანკს კანონდარღვევაში ვეღარ შეეძლება.

შესაძლოა ბანკს თანხის იძულებით ამოღებაც მოუხდეს, რისთვისაც, ცხადია, ხელშეკრულებაში სპეციალური პირობა იდება იმის მიხედვით, თუ რა მიზნითაა სესხი აღებული. მაგალითად, თუ სესხი სტუდენტურია, ხელშეკრულებაში აღნიშნულია: „სესხის დაუფარავობის, ან მსესხებლის მიერ ხელ შეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სესხი არ იქნება სრულად დაფარული ან/და არ იქნება დაფარული დროულად, კანონითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებულ სხვა უფლებებთან ერთად ბანკი უფლებამოსილია მსესხებელს მოსთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს და/ან დაავიკავოს მის საკუთრებაში რიცხვული უძრავი და/ან მოძრავი ქონება და მიაქციოს იძულებით რეალიზაციაზე კანონით დადგენილი წესით. ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები თანხით დაფარული იქნება რეალიზაციის ხარჯები და ბანკის მოთხოვნები, ხოლო დარჩენილი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში გადაეცემა მსესხებელს“. თუკი სესხი ნივთის განვადებით შეძენას ემსახურება, მაშინ: „კრედიტის დაუფარავობის, ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებულ სხვა უფლებებთან ერთად, ბანკი უფლებამოსილია და მსესხებელი თანახმაა, ბანკმა მისი მოთხოვნები დაიკმაყოფილოს როგორც კრედიტით შეძენილი ნივთ(ებ)ით, ასევე მსესხებლის ნებისმიერი სხვა ქონებით, დაყვადლოს ამგვარი ქონება და მიაქციოს იძულებით რეალიზაციაზე კანონით დადგენილი წესით. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს მას კრედიტით შეძენილი ნივთ(ებ)ი სარეალიზაციოდ. ამგვარი რეალიზაციის შემთხვევაში, ამონაგები თანხით დაიფარება რეალიზაციის ხარჯები და ბანკის მოთხოვნები, ხოლო ნარჩენი თანხა დაუბრუნდება მსესხებელს. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის სავანის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ ფარავს ბანკის მოთხოვნას, ბანკი უფლებამოსილია აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებას მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით“.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა ფორს-მაჟორულ ვითარებაზე სასესხო ხელშეკრულებებში არაფერია ნათქვამი, ბანკებს მისი გათვალისწინება არ გამოორჩათ ანაბრების ხელშეკრულებებში, კერძოდ: „ფორს-მაჟორული

მოვლენებისას მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიდება მათ ლიკვიდაციებამდე. ასეთი მოვლენებია: სტიქიური უბედურება; ომები, ტერაქტები, სამხედრო გადატრიალებები; ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტები, ბლოკადები, ენერჯისისტემის ან კავშირგაბმულობის ობიექტების ხანგრძლივი პარალიზება და სხვა დაუძლეველი ძალები; აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი აქტების მიღება, რომლებიც შეუძლებელს ხდის მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას“.

ყოველ ბანკში არსებობს პრობლემური სესხების დეპარტამენტი, რომელიც სწორედ ასეთი სესხების ამოღებაზე მუშაობს. მაგრამ დავალიანებათა სიმრავლის გამო ეს სტრუქტურები საქმეებს ვეღარ აუდიან და ბანკებიც შესაბამის ხელშეკრულებებს აფორმებენ კერძო ფირმებთან, შპს-ებთან, რომლებშიც იურისტები და საბანკო საქმის სპეციალისტები მუშაობენ. სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი ბანკს უფლებას აძლევს, მოახდინოს თავისი იმ უფლების დელეგირება, რომ ახლა უკვე აღნიშნულმა კერძო ფირმამ გააფრთხილოს ე.წ. „ურჩი გადამხდელი“ შესაძლო შედეგების შესახებ. მარტივად თუ ვიტყვით, ეს ფირმა მსესხებელზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს, რაც რიგ შემთხვევებში ბანკის სასარგებლოდ სრულდება. ბუნებრივია, ამოღებული თანხის გარკვეული პროცენტი შპს-ს რჩება. მაგრამ თუკი შპს-ს ზეწოლითაც არაფერი გამოდის, მერე უკვე ბანკი სასამართლოს მიმართავს, რაც გაცილებით უფრო რთული გზაა და მეტ დროსაც მოითხოვს.

ვალის დაბრუნების უუნაროთა შორის მრავლადაა, ვინც ჯერ სამსახური დაკარგა და ახლა, ბანკთან წარმოქმნილი პრობლემის გამო, ბინისა თუ სხვა ქონების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. განსაკუთრებით მძიმე რეალობაში აღმოჩნდნენ ის მსესხებლები, რომლებმაც აგვისტოს ომის შედეგად არა მხოლოდ სამუშაო ადგილები, სახლ-კარი და ყოველგვარი სარჩო-საბადებელიც დაკარგეს. ისინი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ და ზოგან აქციებსაც კი მართავენ, რათა ხელისუფლებამ ომის დროს არსებული მდგომარეობა ფირს-მაჟორულ ვითარებად შეაფასოს და საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთები მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის გამოყოფილი თანხიდან გადაიხადოს. რამდენიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიაც გამოვიდა ხელისუფლების მიმართ მოთხოვნით, რომ სახელმწიფომ გადაიწეროს და გაუსტუმროს ბანკებს იმ ადამიანების ვალები, ვინც შემოსავალი დაკარგა და აღარა აქვს საშუალება თავის სესხებს მოემსახუროს; ამით ბანკები გაჯანსაღდებიან, ბანკებში გაჩნდება დამატებითი ფული და ამავე დროს ამ ადამიანებს შეეძლებათ შესაძლებლობა, რომ იფიქრონ თავიანთ სამომხმარებლო და ეკონომიკურ აქტივობაზე. ეს ვალი უნდა გადავიდეს სწორედ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებაში, რომლის გასტუმრებაც, ყოველგვარი პროცენტის გარეშე, დაიწყება მაშინ, როდესაც ეს ადამიანები ისევ იქნებიან გადახდისუნარიანები, როცა დაიწყებენ საშემოსავლო გადასახადის გადახდას.

ბევრი ჩვენი მოქალაქისათვის ამ ერთობ მტკივნეულ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ ორ წამყვან კომერციულ

ბანკს, „თიბისი ბანკს“ და „საქართველოს ბანკს“, რომლებსაც აქვე ვთავაზობთ.

„თიბისი ბანკის“ საცალო დაკრედიტების განყოფილების უფროსის ლელა ჭინჭარაულის განმარტებით: „საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად, ზოგადად, საომარი მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს ფორს-მაჟორად, თუმცა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს დასაბუთება იმისა, თუ რამდენად იქონია გავლენა აღნიშნულმა მდგომარეობამ ამა თუ იმ კონკრეტულ კლიენტზე. 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში დაფიქსირებული ვადაგადაცილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ განხორციელებულიყო საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის.

მიდგომა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსხვავებული და ინდივიდუალურია. ვადაგადაცილებაში მყოფ მსესხებლებთან, როგორც წესი, ხორციელდება სატელეფონო ზარები, ვიზიტი მსესხებლის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილზე. თუ მსესხებელი წინასწარ განსაზღვრულ ვადაში არ დაფარავს ვადაგადაცილებულ ვადალიანებას, ბანკი მიმართავს სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟს, სესხის მთლიანი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების მოთხოვნით. ბანკის მიერ ასევე ხორციელდება სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული/დავირავებული ქონების რეალიზაცია ან/და თავდების მიმართ თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა“.

„საქართველოს ბანკიდან“ კი ასე გვიპასუხეს: „კლიენტის მონაცემები „კრედიტინფოში“, სესხის არდაფარვის შემთხვევაში, მხოლოდ 90 დღის შემდეგ ავტომატურად (პროგრამის მეშვეობით) ხვდება. „საქართველოს ბანკი“ მომხმარებელზე ორიენტირებული ბანკია და ჩვენ ჩვენს მომხმარებელს ყოველთვის მხარში ვუდგავართ. აგვისტოს მოვლენების შემდეგ „საქართველოს ბანკმა“ არცერთ თავის მომხმარებელს სექტემბრის თვეში ჯარიმა არ დაარიცხა. იმ შემთხვევაში კი, თუ ჩვენს მომხმარებელს შეფერხება ექმნება სესხის დაფარვის მხრივ, ყველა მათგანის შემთხვევას ინდივიდუალურად განვიხილავთ და სესხის რესტრუქტურის ზაციას ვახდენთ. რესტრუქტურის ზაცია გულისხმობს, როგორც ვადის, სესხის დაფარვის გრაფიკის, ასევე ყოველთვიურად დასაფარი თანხის გადახედვას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საქართველოს ბანკისთვის“ კლიენტების ინტერესი ყველაზე პირიორიტეტულია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მომხმარებელს შეფერხება ექმნება სესხის დაფარვის მხრივ, მათთან ერთად ვმუშაობთ ისეთი გამოსავლის მოძებნაზე, რომელიც მორგებული იქნება ყოველი კონკრეტული კლიენტის მდგომარეობაზე. „საქართველოს ბანკი“ ცდილობს ყველა სირთულე, რომელიც მის მომხმარებელს წარმოუდგება, მათთან ერთად გადაჭრას. ჩვენი მომხმარებლის კეთილდღეობა ჩვენი სიძლიერეცაა. ყოველი კლიენტის მდგომარეობა განსხვავებულია და გამოსავლის ძიებაც კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე მიმდინარეობს, კლიენტის

სიტუაციიდან გამომდინარე და კლიენტის შესაძლებლობების გათვალისწინებით“.

## სს „კრედიტინფო საქართველოს“ შემსახმ

ეს კომპანია 2005 წელს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები არიან საქართველოს ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო, ისლანდიური საკრედიტო ორგანიზაცია და ოთხი კომერციული ბანკი („თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“ და ბანკი „რესპუბლიკა“). სს „კრედიტინფო საქართველოს“ იურისტ ირაკლი გვილიას განმარტებით, აღნიშნული კომპანია ერთ-ერთი დამხმარე ელემენტია ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რათა მათ უკეთ შეაფასონ თავიანთი პოტენციური მსესხებლები. „კრედიტინფოს“ სერვისი მისაღება ასევე მალაზიებისთვის თუ სავაჭრო ცენტრებისთვის, რომლებიც განვადებით ახორციელებენ თავისი საქონლის გაყიდვას და 2009 წელს ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებას კიდევაც მოეწერა ხელი. არის პერსპექტივა, რომ დაემატებიან სხვა მსხვილი დაწესებულებებიც, რომლებიც განვადებით აწარმოებენ თავიანთი საქონლის გაყიდვას, იგივე ავტომატაზიები, ავტოსალონები; ვინაიდან ძირითადად სესხით ხდებოდა ხოლმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა და ახლა მოსახლეობისთვის სესხის მიღება უფრო გართულდა, ავტოსალონებისთვისაც საკმაოდ პერსპექტიული უნდა იყოს ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება, ანუ განვადებით თავისი საქონლის გაყიდვა და აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს კლიენტი, ვისაც განვადებით აძლევს თავის საქონელს და როგორია მისი ფინანსური მდგომარეობა.

„კრედიტინფოს“ კლიენტები არიან მხოლოდ იურიდიული პირები. ფიზიკურ პირებს არ შეუძლიათ ისარგებლონ მისი მომსახურებით. სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო ფასების ნუსხა და ყველა მომხმარებლისთვის ის იდენტურია. კომპანიებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ იურიდიული ინტერესი, გაწევრიანების საფასურის გადახდის შემდეგ საშუალება ეძლევათ გამოიყენონ „კრედიტინფოს“ სერვისები. ფიქსირებული ყოველთვიური გადასახადის გარდა, მომხმარებელი იხდის ასევე დამატებით საფასურს იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მიიღებს „კრედიტინფოს“ მონაცემთა ბაზიდან. ინტერნეტის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია სახელისა და პაროლის გამოყენებით მიიღოს მისთვის სასურველი მონაცემი.

„კრედიტინფოს“ აქვს სულ 2 ბაზა. ერთი არის მიმდინარე და დაფარული სესხების შესახებ მონაცემთა ბაზა (ეს არ ეხება ვადაგადაცილებას); მეორე ბაზა არის ვადაგადაცილებულ სესხებზე და სასამართლო ინფორმაციის შესახებ მონაცემთა ბაზა, სადაც აღირიცხება ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიწოდებული ინფორმაცია ვადაგადაცილებულ სესხებზე. თუ პიროვნებამ ვადაგადაცილებული სესხი დაფარა, ეს ბაზაში აღინიშნება და მისი ამოღება მოხდება 7 წლის შემდეგ. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ამ პიროვნებამ 7 წლის განმავლობაში ვეღარ აიღოს ბანკებიდან სესხი, ამისაგან ბანკებმა თვითონ

შეიკავონ თავი; თუმცა გამორიცხული არაა, რომელიმე არც შეიკავოს, ვინაიდან კანონმდებლობით არ იკრძალება ამ მონაცემთა ბაზაში მოხვედრილ პიროვნებაზე სესხის გაცემა. 2009 წლის თებერვლის შუა რიცხვებისთვის 729 000 ჩანაწერი იყო მიმდინარე და დაფარული სესხების ბაზაში და 147 000 – ვადაგადაცილებულ და სასამართლო ინფორმაციების შესახებ ინფორმაციათა ბაზაში.

არის ასევე მონიტორინგის სერვისი, რომლითაც კლიენტები არეგისტრირებენ თავიანთ მსესხებლებს ამ მონიტორინგის სიაში და თუ ამ სიაში დარეგისტრირებული რომელიმე კლიენტი მოხვდება ვადაგადაცილებული სესხების ბაზაში, კლიენტ ბანკს ავტომატურად მიუვა შეტყობინება ამის შესახებ.

„კრედიტინფოს“ მეშვეობით შესაძლებელია აგრეთვე საერთაშორისო მონაცემთა ბაზის გამოყენება. ეს არის მონაცემთა ბაზა „კრედიტინფოს“ პარტნიორი ამერიკული კომპანიისა, რომელსაც მსოფლიოში 100 მლნ-ზე მეტ კომპანიაზე აქვს მონაცემები. შეკვეთები მიიღება როგორც კერძო პირებისგან, ასევე კომპანიებისგან. მაგრამ ეს არ არის საკრედიტო ბიუროს ძირითადი საქმიანობა. ამ საქმიანობით შეიძლება დაკავდეს ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამერიკულ კომპანიასთან ურთიერთობის ამ სერვისის საქართველოში რამდენიმე კომპანია (ძირითადად საკონსალტინგო) აწარმოებს. „კრედიტინფოს“ მასთან ექსკლუზიური კონტრაქტი არა აქვს.

**რატომ აღმოჩნდნენ ბანკები ასეთ მდგომარეობაში და ვინ რაში ხელმძღვანელს**

როგორც პროფესორი ლადო პაპავა შენიშნავს, ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს, რომ ქვეყანაში არის კრიზისი. კრიზისი ფინანსური სექტორიდან დაიწყო და შემდეგ მთელ ეკონომიკაზე გადავიდა; ჩვენთან საფინანსო ბაზრები დიდად განვითარებული არ არის, ამიტომ კრიზისი, უწინარეს ყოვლისა, საბანკო სექტორთან მიმართებაში გამოიხატა, რადგანაც ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ამოღება დღეს გართულებულია. გართულებულია იმის გამო, რომ კრიზისულ ვითარებაში ადამიანები სამსახურებს კარგავენ; არა აქვთ ის შემოსავალი, რომ ბანკიდან აღებული ვალი დაფარონ და ამიტომ გადახდისუუნარონი არიან; ხოლო ბანკები იძულებულიები არიან კუთვნილი თანხები ამ ადამიანებიდან იძულების წესით ამოიღონ.

პაპავას აზრით, სესხების „გაშვებაში“ ბანკებმა პრინციპული შეცდომა დაუშვეს, რადგან ჰქონდათ ცოტა გაზვიადებული მოლოდინი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამას ქვეყანაში არსებული „პიარიც“ ხელს უწყობდა. ბანკებს არ აღმოაჩნდათ ის პროფესიონალიზმი, რომელიც ასეთ ვითარებაშია საჭირო. საერთოდ, თუ გადავხედავთ, ჩვენთან მთელი ბიზნესი საკუთარ თავზე არის ორიენტირებული; ანუ ყველგან მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ყველაზე უკეთ თვითონ იციან და თვითონ ერკვევიან. არადა, სინამდვილეში მათ ცოდნა არ ჰყოფნიან, რეალური მდგომარეობის შეფასება არ შეუძლიათ.

ლადო პაპავა შეგვასხენებს, რომ ბანკები იაფ სესხებს იღებდნენ ევროპული ბაზრებიდან, სადაც ასეთი სესხები

საკმაოდ დიდი ოდენობით იყო და ანთავსებდნენ საქართველოს ეკონომიკაში, ძირითადად სამშენებლო სექტორსა და აგრეთვე სამომხმარებლო სექტორში. სამომხმარებლო კრედიტები ისევე იმპორტის დასაფინანსებლად მიდიოდა. რა თქმა უნდა, ეს საკრედიტო რესურსი არ იყო საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი, ხოლო ბანკების მიერ შექმნილი სახსრები, განსაკუთრებით სამომხმარებლო კრედიტებზე, ხელს არ უწყობდა საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. ადრე თუ გვიან, ეს უნდა „აფეთქებულიყო“. „აფეთქება“ განსაკუთრებით გამწვავა და დააჩქარა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რადგანაც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ თურმე ეს იაფი საკრედიტო რესურსი ევროპის ბაზრებზე უკვე აღარ არის ხელმისაწვდომი და ბანკებს აღარ შეუძლიათ კვლავ გასცენ იაფი რესურსი, ადამიანები კი უკვე ისე ადვილად ვეღარ შოულობენ სამსახურს, აღარ აქვთ ის შემოსავალი. შეგახსენებთ ასეთ მექანიზმსაც, როდესაც ადამიანი ამა თუ იმ ბანკში სამუშაოდ აჰყავდათ, იქვე სთავაზობდნენ, რომ თვითონვე გაეფორმებინა სესხი. შემდეგ ეს ხალხი სამსახურიდან რომ გაუშვეს, ბუნებრივია, გადახდისუუნარო დარჩა. ანუ ბანკებმა საკრედიტო პოლიტიკაში თავიდანვე სერიოზული შეცდომა დაუშვეს. მაგრამ დღეს რასაც ისინი აკეთებენ, არის აბსოლუტურად სწორი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკები გაკოტრდებიან, ბანკების გაკოტრება კი გამოიწვევს მთელი ჩვენი ეკონომიკის და მთელი ჩვენი საზოგადოების გაკოტრებას, მათ შორის იმათისაც, ვისაც არანაირი სესხი არ აუღია. ამიტომ ეს დიდი გაკვეთილი უნდა გახდეს ყველასათვის, ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომლებიც ბრძოდ იღებდნენ ბანკებიდან სესხებს და ჩვენი ბანკებისათვის, რომ უფრო მეტად ფრთხილნი იყვნენ და უფრო მეტი გათვლები აწარმოონ, თუ სად, რომელ სექტორში უნდა განათავსონ თავიანთი კრედიტები, თუნდაც ეს საკრედიტო რესურსი ადვილად და იაფად მოპოვებადი იყოს.

*„ბანკებს ამ შეცდომაზე არ მიუთითა მისმა მარეგულირებელმა და ზედამხედველმა იმიტომ, რომ მანაც ვერ გაართვა თავი. პრაქტიკულად ჩვენ გვაქვს დემორალიზებული ეროვნული ბანკი; მას 17 თვე არა ჰყავდა პრეზიდენტი. ამიტომ ნუ ვაკვიკვირდება, ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო! ცხადია ბანკები ვალეებს სრულად ვერ ამოიღებენ, მაგრამ მაქსიმალურად, რისი ამოღებაც შესაძლებელია, უნდა ამოიღონ. და ამ შემთხვევაში ლაპარაკი მათ არაჰუმანურობაზე არასწორია. უბრალოდ, თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, ეკონომიკაში ძალიან ცუდი მდგომარეობა იქნება. ადამიანებმაც უნდა ისწავლონ, ცოტა მეტი გონიერება გამოიჩინონ, რომ ასეთ სესხებზე არ დახარბდნენ და მომავალში მათი აღება არ დაიწყონ“*, - დაასკვნის პაპავა.

ეროვნული ბანკის ექს-პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი გვახსენებს იმას, რასაც იგი ბოლო წლების განმავლობაში გამოუძღვებოდა, რომ ბანკები ამ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, ვინაიდან საქართველოში თანდათანობით კნინდებოდა ეროვნული ბანკის, როგორც ცენტრალური ბანკის და ბანკების ზედამხედველობის ფუნქციის მატარებელი ორგანოს მნიშვნელობა. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულების მოსპობამ განაპირობა ბანკების თავაშვებული მსვლელობა, არაუზრუნველყოფილ

და ასევე გრძელვადიან დაბანდებებში ფულის თავკუდმოგლეჯით ჩადება. ამას აუცილებლად უნდა გამოეწვია ეს შედეგი და გამოიწვია კიდევაც. ანალოგიური სიტუაცია მოხდება ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც შესუსტდება საბანკო ზედამხედველობა. ჯავახიშვილის თქმით, ამის თაობაზე მისი მრავალგზისი გაფრთხილებები არ იყო ყურად არც საზოგადოებამ, რომელიც ამ სესხებს იღებდა და არც ხელისუფლებამ, რომელიც ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოტანის გადაწყვეტილებებს ღებულობდა. ჯერ ერთი, ბანკების ბოლო წლების ბალანსებს თუ შევხედავთ, მივხვდებით, რომ იქ უკვე არაფერი ნორმატივები აღარ არსებობს. არადა, ბაზელის კომიტეტის შეთანხმებით და მასთან ერთად დადგენილი ნორმატივებით, ბანკებს არა აქვთ უფლება გარკვეულ დონეზე მეტი დააბანდონ საკრედიტო რესურსები გრძელვადიან დაბანდებებში და არც სამომხმარებლო, ე.წ. საბლანკო კრედიტები შეიძლება ჰქონდეთ განსაზღვრული ნორმატივის ფარგლებს ზევით. როგორც წესი, ჩვენთან სამომხმარებლო კრედიტი გააიგივეს საბლანკო კრედიტთან, ანუ სამომხმარებლო კრედიტების უმრავლესობა გირაოს გარეშე იყო გაცემული. ეს მაღალი რისკის კრედიტებია და კაპიტალთან უნდა ყოფილიყო თანაფარდობაში. არის შეზღუდვა, ზედა ნორმა, რომელზე მეტიც არ შეიძლება ბანკმა გასცეს. ეს თავზე ხელაღებული მსვლელობა ზუსტად იმან გამოიწვია, რომ სამომხმარებლო კრედიტებში ბანკი საკმაოდ მაღალ მოგებას ნახულობდა. ბანკს იმიტომ ჰყავს ზედამხედველად ცენტრალური ბანკი, რომ კაპიტალის ავანტიურისტული სული მოგების გამოდევნებისა რაღაცა დონეზე შეფერხებული იყოს. აი, როცა ეს ზედამხედველობა გამოაცალეს, ნელა-ნელა შესუსტდა ეროვნული ბანკის მოქმედება და საბოლოოდ მთლიანად გაუქმდა, ამან მიგვიყვანა ამ შედეგამდე.

ჯავახიშვილის მტკიცებით, მართალია ზედამხედველობის სააგენტო შეიქმნა, მაგრამ ჯერ ერთი, მის შექმნამდე საქართველოში ეროვნული ბანკი იყო თუ არ იყო, ამას ვერც ხალხი გეტყულობდა და ვერც კომერციული ბანკები. მეორე, რაც შეეხება ზედამხედველობის ფუნქციის გატანას ეროვნული ბანკიდან, ეს არის დანაშაული და ქმედება სავალუტო ფონდის მრავალწლიანი რეკომენდაციების (რომლის ბაზაზეც 1995 წელს საქართველოში საბანკო კანონმდებლობა გაკეთდა) საწინააღმდეგოდ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს, რომ დღეს ამ უწყების ხელმძღვანელი სავალუტო ფონდის ყოფილი თანამშრომელია! ეს არის დინების საწინააღმდეგოდ სვლა, რომელსაც ჩაყვა სავალუტო ფონდიც. რატომ არის აუცილებელი, რომ ზედამხედველობის ფუნქცია სებ-ის შემადგენლობაში იყოს? ეროვნულ ბანკს მეორენაირად მთელ მსოფლიოში ეძახიან ბანკთა ბანკს და ბანკების მამას. ანუ ეს არის ისეთი სტრუქტურა, რომელიც კანონმდებლურად პასუხს აგებს საბანკო საქმის ნორმალურ განვითარებაზე და იმავდროულად აქვს საზედამხედველო ფუნქცია. ანუ ასეთმა ზედამხედველმა არ შეიძლება თავისი მაკონტროლებელი თუ საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების დროს „ნაბანს გადააყოლოს ბავშვი“, იმიტომ, რომ თვითონ აგებს პასუხს. როგორც კი ამას გამოიტან სებ-იდან და მისცემ ზედამხედველობის სააგენტოს,

ორგანოს, რომელსაც კანონმდებლურად პასუხისმგებლობა არ ეკისრება საბანკო სისტემის გამართულ მუშაობაზე და ამ დროს, შემოწმებისა და ზედამხედველობის ფუნქცია აქვს, ეს ყოველთვის ღუპავს საბანკო სისტემას. ასე რომ, ჯერ ეროვნული ბანკის დაკნინებას და მერე საზედამხედველო ფუნქციის ცალკე გამოყოფას არ შეიძლება სერიოზული უარყოფითი შედეგები არ გამოეწვია.

რაც შეეხება ბანკების დადანაშაულებას არაჰუმანურობაში, ჯავახიშვილს ასეთი ბრალდებები არასწორად მიაჩნია. მისი აზრით, კეთილი უნდა ინებოს თითოეულმა მსესხებელმა და ჩაიხედოს საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომელიც კომერციულ ბანკთან აქვს გაფორმებული. თუ კომერციული ბანკი საკრედიტო ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს აჭარბებს, ამისთვის არსებობს სასამართლო. თუკი ხელშეკრულებით მისი რომელიმე უფლება დაცული არაა, ეს საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რომ თავის დროზე არ მოითხოვა ამის გაკეთება; ხშირად მსესხებელს სასესხო ხელშეკრულება წაკითხულიც არა აქვს.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე აღნიშნავს, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი. მსოფლიოს როგორც წამყვან, ასევე განვითარებად ქვეყნებშიც სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და აღებული ვალდებულებების დაფარვაში პრობლემები გაუჩნდათ როგორც ფირმებს, ასევე კერძო პირებს. მაგრამ აქ საპანიკო და ხმაურის ასატენი არაფერია. ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ არსებობს კრიზისი, როცა ადამიანებს, ობიექტური მიზეზების გამო, არა აქვთ საშუალება გამოიმუშაონ საკმარისი თანხები და ჩნდება პრობლემები ვალდებულებების დაფარვაში.

რა უნდა გაკეთდეს? დემურ გიორხელიძის აზრით, აქ ორი გზა არსებობს. ერთია, რომელსაც საქართველოში საბანკო სექტორი დაადგა. ესაა იძულების წესი და რაღაც სააგენტოს მეშვეობით არასაიმედო მსესხებლების სიების გამოქვეყნება, რომელმაც უკვე 150 ათას კაცს გადააჭარბა. მეორე გზა არის ის, რასაც ცივილური ქვეყნები ადგანან, ანუ როდესაც ინდივიდუალური მიდგომით ხდება ვალების რესტრუქტურული ზაცია არა მხოლოდ საბანკო ურთიერთობების დონეზე კლიენტსა და ბანკს შორის, არამედ სახელმწიფოც (მაგალითად, შეერთებული შტატები) უზარმაზარ თანხებს ტვირთავს ბანკებში, ეკონომიკაში, რათა ეს სტრუქტურები გაკოტრებისაგან გადაარჩინოს. საქართველოში რატომ არ უნდა იყოს ასეთი მიდგომა?! რა თქმა უნდა, ინდივიდუალური შესწავლის შემდეგ გამოჩნდება, რომელი მსესხებელია უიმედო მდგომარეობაში და რომელი მსესხებლის ვალების რესტრუქტურული ზაცია შეიძლება. კრიზისულ სიტუაციაში ხმაურის ატეხვა და სასამართლოებზე მიმართვა იმას ნიშნავს, რომ საბანკო მენეჯმენტი კარგად ვერ აცნობიერებს, რა დონის კრიზისზეა საუბარი. ადამიანების უდიდესი უმრავლესობა თავის ვალდებულებებს დაფარავს, თუ, რა თქმა უნდა, ვიღაცამ, ბანკის მოხელეებთან გარიგებით, რაღაც სრულიად გაუზრებელი კრედიტები არ აიღო. ბანკებმა თუ კრედიტების გაცემისას რაიმე შეცდომა დაუშვეს, ბანკის მხრიდან ტერორი კი არ არის საჭირო, არამედ კეთილი ინებოს და, ზარალში ჩამოწეროს თავისი მენეჯმენტის დოყლაპობით და თუ გნებავთ, არაპროფესიონალიზმით ჩადენილი შეცდომები.

ჯობს, რომ ისინი იგივე გზას დაადგენ, რასაც ცივილურ სამყაროში გონიერი საბანკო სტრუქტურები აკეთებენ.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი აღნიშნავს, რომ კომერციული ბანკებისა და დანარჩენი ეკონომიკური სექტორების საქმიანობა ურთიერთგადაჯავჭვულია და როდესაც ამ ჯავჭვის რომელიმე რგოლი ამოვარდება, ბუნებრივია, ეს ზეგავლენას ახდენს სხვა რგოლებზე. 2008 წლის მეორე ნახევარში ეკონომიკური აქტივობა შემცირდა. ამან მრავალი კომპანია გადახდისუუნარო გახადა, რის შედეგადაც ვალეები ვეღარ დააბრუნა და კომერციული ბანკების საქმიანობასაც აშკარად დაეტყო. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ კომერციული ბანკები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი იძულებული გახდნენ რადიკალური ზომები მიეღოთ, ან ვალეების რესტრუქტურისა და მოეხდინათ, ან კიდევ მიემართათ იმ საწარმოების გაკოტრებისათვის, რომლებიც გადახდისუუნარონი არიან და პერსპექტივა არ გააჩნიათ, რომ გადაუხადონ ეს ვალეები. მაგრამ მთავარი მიმართულება მაინც არის რესტრუქტურისა, რადგან სახელმწიფო ცდილობს დონორების მიერ გამოყოფილი თანხებიდან გარკვეულწილად დაეხმაროს როგორც მშენებლობის სექტორს, ასევე მრეწველობას თუ აგროსამრეწველო სექტორს. აქედან გამომდინარე, ბანკებმა მრავალ საწარმოს ვალეები გადაუვადეს, რამაც ბანკების საქმიანობა გარკვეულწილად რაღაც პერიოდით შეაფერხა, მაგრამ მათ

ურთიერთობას რაღაც პერსპექტივა მისცა.

ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა. ყოველ ფიზიკურ პირს, რომელსაც ვალი აქვს აღებული, გარანტიად თავისი უძრავი ქონება ან სხვა რამ აქტივები აქვს ჩადებული. ამ შემთხვევაში დგება საკითხი მათი აქტივების ლიკვიდურობის შესახებ. თუკი ფიზიკური პირი ვალს ვერ დაუბრუნებს, მაშინ ბანკი შეეცდება ლიკვიდური გახადონ ის, რაც გარანტიად იყო ჩადებული. ამ შემთხვევაში ბანკი არ ზარალდება, მაგრამ ვალის უკან დაბრუნება დროში ეჭიმება და მის საქმიანობაზე ესეც უარყოფითად მოქმედებს.

„ზოგი ბანკებს არაპუმანურობაში სდებს ბრალს. ერთადერთი, როცა შეიძლება ბანკს ვუთხრათ, რომ არაპუმანურია, თუკი ეს ეხება იმ რეგიონებს, რომლებიც დაზარალდნენ 2008 წლის აგვისტოში ომით. როდესაც კლიენტი ხელშეკრულებას დებს, მან უნდა იცოდეს, რა უფლება აქვს და რა არა. ხელშეკრულება არის ყველაზე მაღალი რგოლი, ის პირობები, რომელსაც იგი დათანხმდა და რომლითაც მან სესხი მიიღო. მაგრამ შემდეგ, თუკი ვითარება შეიცვალა, ლაპარაკი უნდა იყოს არა პუმანურობაზე, არამედ ახალ ურთიერთობაზე ბანკთან. ამ შემთხვევაში პუმანურობა სხვა არაფერია, თუ არა: „მაპატიეთ, ამ ვალს ვერ დაგიბრუნებთ“. პუმანურობა ცოტა შორსაა ბიზნეს-ურთიერთობებთან“; - ამბობს მიხეილ თოქმაზიშვილი“.

**დალი ჩიკვაძე**

**ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი ეღირსა**

საქართველოს ეროვნულ ბანკს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. აღნიშნულ თანამდებობაზე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ყოფილი უფროსი გიორგი ქადაგიძე დაინიშნა. ქადაგიძე აღნიშნულ თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა.

საქართველოს ეროვნულ ბანკს რომან გოცირიძის თანამდებობიდან ნასვლის შემდეგ პრეზიდენტი არ ჰყოლია. გოცირიძის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი ასრულებდა.

**კომერციული ბანკების აქტივები შემცირდა**

საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები, მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით, 319,1 მლნ ლარით შემცირდა და 8 მლრდ 546 მლნ 500 ათასი ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან, 0,5%-ით, 7,9 მლნ ლარით შემცირდა ასევე საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები (სააქციო კაპიტალი) და ამჟამად 1 მლრდ 509 მლნ 300 ათასი ლარია, რაც კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივების 17,7 პროცენტია. განაღდებული სანესდებო კაპიტალის ზრდამ 8,3 ათასი ლარი შეადგინა. ბანკების რაოდენობა უცხოური კაპიტალის მონაწილეობით სანესდებო კაპიტალში, წლის დასაწყისთან შედარებით, არ შეცვლილა და ბანკების საერთო განაღდებულ სანესდებო კაპიტალში მათი წილი 73,5%-ია. უმსხვილესი აქტივების მქონე 5 ბანკის წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში წლის დასაწყისიდან 79,3-დან 78,3 პროცენტამდე შემცირდა..

**ფულადი დახმარებებისა და შემწეობების გაცემას „სახალხო ბანკი“ მოემსახურება**

სოციალური დახმარებების, დეენილთა და ლტოლვილთა შემწეობების, 2009 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარებებისა და შემწეობების გაცემას „სახალხო ბანკი“ განახორციელებს. როგორც „სახალხო ბანკში“ განაცხადეს, ბანკმა სოციალური დახმარებისა და დეენილთა შემწეობების საბანკო მომსახურების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. „სახალხო ბანკში“ აღნიშნავენ, რომ ტენდერში სხვა ბანკებთან შედარებით მათი უპირატესობა ფილიალების ქსელის სიმრავლემ, მომსახურების მაღალმა ხარისხმა და ოპერატიულობამ განაპირობა. „სახალხო ბანკი“, რომელსაც სულ 210 ფილიალი აქვს, 2004 წლიდან ასევე პენსიების, სახელობითი სტიპენდიებისა და საპენსიო დანამატების საბანკო მომსახურებას ახორციელებს.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული სახის დახმარებების მოცულობა 180 მლნ ლარს შეადგენს.